



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დადოფლისწვარის რეგიონის ადმინისტრაციის განყოფილებაში

№1 (10.009)

22-29 იანვარი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

300 წლის უმედავ საქართველო წინდა მიწაზე ბრუნდება

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს იორდანიის 4000 კვ.მ ზომის მიწის ნაკვეთი გადაეცა. ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე გაავრცელა. „შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ისტორიული მომენტის მოწინააღმდეგე ვართ. მისი უდიდებულესობა იორდანიის მეფის აბდულა მეორისა და მის უმალესობა პრინც ლაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს გადაეცა მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. პატრიარქის კურთხევით აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. 300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წინდა მიწაზე“, - თქვა ლარიაშვილმა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი.

ქრისტიანული მოძღვრებისა და ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების შეთვისების მიზნით ქართველი საეკლესიო მოღვაწეები სირია-პალესტინის რეგიონს ყველაზე ხშირად მიმართავდნენ. ქართველთა აქ მოღვაწეობას ჰქონდა არა ფრაგმენტული ან კერძო ხასიათი, რაც გულისხმობს ცალკეული სასულიერო პირის კერძო ინიციატივას, არამედ ეს იყო ქართული ეკლესიისა და ბერ-მონაზვნობის ერთიანი და მყარი სამოქმედო გეგმის შემაღგენელი ნაწილი. ქართველები მოღვაწეობდნენ როგორც ბერძენთა მიერ დაარსებულ, ასევე საკუთრივ ქართულ მონასტრებში.

საბანძის ლავრა

ეს ლავრა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს — საბა განწმედილს დაუარსებია 483 წელს.

საბანძის ლავრაში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მნიშვნელოვანი ძეგლები ქართულ, სირიულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. მაგრამ მაინც საბანძის სამონასტრო კერის ისტორიაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო VIII—IX საუკუნეები. ამ პერიოდში იგი იქცა საქრისტიანო მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ კერად: წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობა, გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა; განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია, თარგმნითი ლიტერატურა, გახშირდა ხელნაწერთა გადაწერა, შემკობა-შემოსვა... აღიზარდნენ კალგრაფები (მაკარი ლეთეელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე...).

ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც სინაის მთაზე ინახება, VIII—IX საუკუნეებში შექმნილი საბას ლავრაში. აქ უნდა შემუშავებულიყო ის ხელიც, რომელსაც საბანძიდურს უწოდებენ. X საუკუნის დასაწყისიდან სხვაგვარად წარმოართა საბანძის ტაძრის ბედი. არაბებმა უკვე აშკარად დაიწყეს ქართველების შევიწროება და მალე მათი გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო სრულიად შეუძლებელი გახდა საბანძეში ცხოვრება და მოღვაწეობა. ქართველებმა იძულებით მიატოვეს იქაურობა და მიაშურეს სხვა მონასტრებს, ძირითადად, სინას მთას. ახალ სადგომში თან გადაიტანეს როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე აქ გადაწერილი და დამუშავებული წიგნების დიდი ნაწილი. სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა საბანძის ლავრამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი უცხოეთში ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებს, რომლის შემოქმე-

დებით ცხოვრება ძლიერ ნაკადულად ერთვოდა იმ დიდ მდინარეს, რასაც ქართული ქრისტიანული კულტურა ჰქვია.

ჯვრის მონასტრი

პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია. მას შემდეგ, რაც XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი რამდენადმე შეიცვალა, ამ ქვეყანაში ქართველთათვის შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების განახლება;


XI საუკუნის I ნახევარში ცნობილია მწიგნობარმა გიორგი პროხორე შავშელმა დააარსა ჯვრის მონასტერი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. ტაძრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდლის ბრძანებით. გადმოცემის მიხედვით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან უნდა იყოს გაკეთებული ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს. გიორგი შავშელს სავანეში შემოუკრებია 80-მდე ქართველი მოღვაწე. მათი ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად გამოიხატებოდა სხვა ავტორთა თხზულებების გადაწერაში, მაგრამ, პალესტინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას აქაც მალე დაემუქრა სამიშროება. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანეც დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრეს სამონასტრო ცხოვრება.

XVII საუკუნის 40-იან წლებში ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილს ჯვრის მონასტერში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია: მოუხატინებია კედლები და გუმბათი. ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტრის უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1611—1657).

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე... ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწეა შოთა რუსთველსაც (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი XII—XIII საუკუნეებისა).

მკვლევართა აზრით, ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა თავისი ხასიათითა და შინაარსით, ფაქტობრივად, არის ათონისა და საბას ლავრის ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე, მიუხედავად უცხოელთაგან მუდმივი თავდასხმებისა და დევნა-შევიწროებისა, ჯვრის მონასტერი პალესტინაში მაინც რჩებოდა ქართული მწერლობის უმთავრეს ცენტრად. XVIII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი ნომი-



ნალურად კვლავ ითვლებოდა ქართველთა საკუთრებად, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს დიდებული სავანე მთლიანად დაიკალა ქართველთაგან და ყოვლად არაკანონიერად გადავიდა ბერძენების ხელში.

პატრიარქის მონასტრი

V საუკუნეში პალესტინაში არსებული ქართული სამონასტრო კოლონიზაციის შესახებ ცნობებს გვანდინ პეტრე მაიუმელის (იბერის) „ცხოვრება“, ბიზანტიელ ავტორთა თხზულებები — რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ და პროკოფი კესარიელის „შენობათათვის“, ყველა ადრეული ცნობის მიხედვით, პეტრე მაიუმელს იერუსალიმში აუშენებია „სახლი სასტუმრო“ ქართული და ბერძენ ბერთათვის და ასევე მდ. იორდანის პირას აუგია ქართველთა მონასტერი. როგორც ჩანს, სწორედ მას მოიხსენიებს პროკოფი კესარიელი იბერთა მონასტრის სახელწოდებით.

ბათუმის ქართული მონასტრი

პალესტინაში მოღვაწე ქართველთა კვალსა და ბეჭედის მახლობლად ქართული მონასტრის არსებობას ადასტურებს იტალიელი არქეოლოგის, ვირჯილიო კოროს, მიერ 1952—53 წწ-ში აღმოჩენილი სამი ქართული მოზაიკური წარწერა (VI—VII სს.) და მონასტრის ნანგრევები. როგორც გაირკვა, ეს თეოდორე ტირონის სახელობის ქართველთა მონასტერი ყოფილა. ერთ-ერთ ყველაზე კარგად შემორჩენილ წარწერაზე იკითხება მონასტრის წინამძღვარ ამა ანტონისა და მოზაიკური წარწერის შესმსრულებელ იოსიას სახელები.

ბუნებრივია, ამ სამ მონასტერში სამწიგნობრო საქმიანობაც იქნებოდა გაჩაღებული. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ გადაწერილ წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. იორდანელების დაახლოებით 98% არაბია, ხოლო ჩერქეზების, სომხებისა და ქურთების მცირე რაოდენობა დანარჩენი მოსახლეობის 2% შეადგენს. მოსახლეობის დაახლოებით 83% ქალაქში ცხოვრობს. მო-

სახლეობის ზრდის ტემპი 2013 წლისთვის სულ რაღაც 0,14% შეადგენს.

იორდანელების დაახლოებით 92% სუნიტი მუსლიმია. ისლამი იორდანის ოფიციალური რელიგიაა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეს რიცხვი სწრაფად გაიზარდა, რადგან ჯერ კიდევ 1950 წელს ქრისტიანები მოსახლეობის 30% ქმნიდნენ. დღეს იორდანელების მხოლოდ 6% არის ქრისტიანი, მათი ძირითადი ნაწილი ბერძენი მართლმადიდებლები არიან, რომელთაც ემატებათ სხვა მართლმადიდებლური ეკლესიების მცირე თემები. მოსახლეობის დარჩენილი 2% ბაჰაეები ან დრუზები არიან.

სამხრეთით და აღმოსავლეთით იორდანია ესაზღვრება საუდის არაბეთს. დასავლეთით არის ისრაელი და პალესტინის დასავლეთი სანაპირო. ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობს სირია, ხოლო აღმოსავლეთით — ერაყი.

1999 წლის 7 თებერვალს იორდანის მეფე ჰუსეინ ბინ ტალალი გარდაიცვალა. მეფის ძმა პრინცი ჰასანი, რომელიც ტახტის ოფიციალურ მემკვიდრედ ითვლებოდა მძიმე ავადმყოფი იყო, რის გამოც მეფემ მის ნაცვლად საკუთარი ვაჟი დანიშნა, რომელიც მეფე გახდა.

აბდულა II აგრძელებს მამის პოლიტიკას: ცდილობს გააუმჯობესოს ურთიერთობები არაბულ სამყაროსთან, გააუმჯობესოს ქალთა სტატუსი; აქტიურად ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს.

ის არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მეთაური. ტახტზე ასვლის შემდეგ მან არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა განახორციელა.

იორდანია ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ქვეყანაა, ზრდასრულთა წიგნიერების მაჩვენებლით 95,4%. მეფე აბდულა არის კვალიფიციური პილოტი, პარამუტისტი, მყვინთავი. უყვარს ავტობოლა, წყლის სპორტი, აგროვებს იარაღის კოლექციას.

„თურქეთიდან ნამლები შემოვა, რაც მედიკამენტებს ბაიაფებს“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიკაშვილის განცხადებით, ბაიასიდან თურქეთის ბაზარი, საიდანაც შემოვა მაღალი ხარისხის GMP (კარგი სანარმოო პრაქტიკის) სტანდარტების შესაბამისი ნამლები, რაც მნიშვნელოვნად გააძვირებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში. მისი თქმით, შესაბამისი განპარტოვებას უკვე მოინდობდა ხელს.

„მოგესხებოდა, მე ამის თაობაზე ღია ვისაუბრე, საგრძობად დიდია სხვაობა ფასებს შორის. ყველაზე მოთხოვნილი ნამლები ჩვენთან თუ ღირს პირობითად 10 ლარი, თურქეთში ღირს ლარი და ორი ლარი. ამიტომ, არავითარი არგუმენტი იმისა, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო გახსნილი თურქეთის ბაზარი, არ არსებობს, ვერ მოვისმინე, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თურქეთის ბაზარი გაგვეხსნა. ეს ძალაში უკვე შევიდა და მე იმედი მაქვს, რომ იმპორტიორები, კომპანიები შემოიტანენ მაღალი ხარისხის ნამლებს თურქეთიდან, რაც მნიშვნელოვნად, ძალიან სწრაფად გააიფებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში“, - განაცხადა ირაკლი ლარიკაშვილმა.

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ 10 იანვარს გამოაქვეყნა ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც განხილულია მედიკამენტებზე ფასნამატის, ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის გარიგებებისა და ფარმაცევტული ბიზნესის დარეგულირების საკითხები. კონკურენციის სააგენტოს დათვლით, შესაბამისი რეგულირების და მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინების შემთხვევაში, მედიკამენტებზე წლიური დანაზოგი შესაძლოა იყოს 250 მილიონ ლარამდე.

ირაკლი ლარიკაშვილის თქმით, მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საკანონმდებლო ცვლილებები იქნება განსახორციელებელი, რისთვისაც მან პარლამენტსა და ჯანდაცვის მინისტრს მთავრობის სხდომიდან მიმართა, დაინყონ ერთობლივი მუშაობა.

სალონიკი

საქართველოსთვის თურქეთის ბაზარი, — და ფარმაცევტული ბაზარიც, — აქამდეც გახსნილი იყო. მეტიც, როგორც ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორი, ირაკლი მარგველაშვილი ამბობს, სწორედ თურქეთზე მოდის საქართველოში იმპორტირებული მედიკამენტების დაახლოებით მესამედი.

მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილება, როგორც 17 იანვარს გაცემული განკარგულების ტექსტიდან იკრვევა, გულისხმობს თურქეთის რესპუბლიკის დამატებას იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებთანაც საქართველოს მთავრობას „პარალელური იმპორტის რეჟიმი“ აქვს დაწესებული.

ზოგადად, საქართველოში მედიკამენტების რეგისტრაციის ორი რეჟიმი მოქმედებს: ეროვნული და ალიარებითი

ტრაცია საქართველოში შესაძლებელია EMA-ს ან ჩამოთვლილი 40-მდე ქვეყნის ეროვნული მარეგულირებელი უწყების მიერ წინასწარი ალიარების საფუძველზე. უხეშად რომ ითქვას, თურქეთის მაგალითზე — მედიკამენტები, რომლებიც თურქეთშია რეგისტრირებული, საქართველოში დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე, ავტომატურად იქნება ალიარებული.

ირაკლი მარგველაშვილი, ფარმაცე-



(რომლის ფარგლებშიც დაშვებულია „პარალელური იმპორტი“).

ალიარებითი რეჟიმი გულისხმობს პრაქტიკას, რომ საქართველოს მთავრობა ალიარებს და „პარალელური იმპორტით“ უშვებს იმ მედიკამენტებს, რომლებიც ალიარებულია მსოფლიოს მკაცრი მარეგულირებელი ქვეყნების მიერ გაცემული დადგენილებებით კონკრეტულ პრეპარატზე.

იმ ქვეყნების/ორგანიზაციის სია, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ალიარებს, შემუშავდა 2009 წელს საქართველოს მთავრობის 188-ე დადგენილების საფუძველზე.სიაში შევიდნენ, ერთი მხრივ, სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო — ევროპის წამლების სააგენტო (EMA), მეორე მხრივ კი, ათობით ცალკეული სახელმწიფო, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნები და, სხვებთან ერთად, იაპონია, კორეა, შეერთებული შტატები და ავსტრალია.

შესაბამისად, პროდუქტების რეგის-

ტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორი „ნეტგაზეთთან“ საუბარში ამბობს: „რახან გადაწყვეტილება თურქეთიდან პარალელური იმპორტის დაშვების შესახებ უკვე მიღებულია, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს დამატებითი მექანიზმები ხარისხის კონტროლისათვის.“ ირაკლი მარგველაშვილის თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად გამოიყენებოდა მედიკამენტების ერთჯერადად შემოტანის პრაქტიკა. ასოციაციების წარმომადგენლის თანახმად, ცვლილების შემდეგ, საგარეოდ, წამლების პარალელური იმპორტის მასშტაბი მოიმატებს. შესაბამისად, ბაზარზე გაიზრდება მიწოდება, რაც მომხმარებლისათვის მედიკამენტების ფასს შეამცირებს. ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორი ამბობს: „შესაძლებელია, იმპორტისას გაჩნდეს მოთხოვნა, რომ წარმომადგენელი იქნას გარკვეული დოკუმენტაცია. ეს ნაბიჯი, შესაძლოა, არ გამოინცხავდეს, მაგრამ მიზნობრივად დაიყვანოს იმის რისკს, რომ ესა თუ ის მედიკამენტი არ იყოს უხარისხო.“

იგი ასევე განმარტავს: „როდესაც „ხარისხიანს“ ვამბობთ, მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ მედიკამენტი ფაქტობრივად არ არის. მედიკამენტის ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები. ამიტომ, რახან სახელმწიფო მიდის იმ ნაბიჯზე, რომ ფინანსური მოსაზრებით ფასების დაწვევით ერთ გზად ჩათვალოს მეზობელი ქვეყნიდან ნამლების შემოტანა, მაშინ აუცილებლად უნდა დავამატოთ დამატებითი მექანიზმები, ფილტრები, თუნდაც დოკუმენტაციის მოთხოვნის დონეზე, რომ შევამციროთ რისკები. მთავარი კითხვა ამ დოკუმენტში იქნება მედიკამენტის „მიკვლევაობა“ (traceability), რა გზა გაიარა ნარეზებიდან მოხმარების ეპიზოდამდე, სად, რა პირობებში იყო შენახული, რა ტემპერატურაზე და ა.შ.“ — ამბობს იგი.

სხვა საჭირო საუბარი

გარდა პარალელური რეჟიმის დაწესებისა, ექსპერტების თქმით, საქართველოს მთავრობას სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მართებს მედიკამენტების ფასების შესამცირებლად.

ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება კითხვას, თუ რის გამო ძვირდება მედიკამენტები საქართველოში. ამ კითხვაზე პასუხი სხვადასხვა აქტორს სხვადასხვა აქვს.

• მაგალითად, ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლები წლების განმავლობაში ლარში ფასების ზრდის ძირითად მიზეზად ვალუტის დევალუაციათა ასახელებენ, პანდემიის პირობებში კი, დამატებით, ტრანსპორტირების ხარჯების ზრდას.

• თუმცა სპეციალისტების ნაწილი საუბრობს ასევე წამლის ფასის სრულ დაურეგულირებლობაზე, ფარმაცევტული ბიზნესის კორუფციულ გარიგებებზე ექიმებთან (იგივე არაეთიკურ მარკეტინგზე) თუ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ ოლიგოპოლიაზე.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიკაშვილს და ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ ახარაშვილს ამ საკითხზე დაგეგმილი განმარტებები არ გაუკეთებიათ, თუმცა პრემიერმა განაცხადა, რომ „ერთი მხრივ, ამოცანა უნდა იყოს ფასების მონიტორინგი ... და ხარისხის კონტროლი. ხარისხიანი მედიკამენტი უნდა მიიწოდებოდეს ჩვენს მოსახლეობას“.

რა უნდა გაითვალისწინონ სახლში მეოფმა კოვიდ ჰაციენტებმა?

„ბინაზე მეოფმა პაციენტებმა უნდა შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ ჩავარდნენ სასონარკვეთილებაში იმის გამო, რომ ექიმი არ ვერ უკავშირება.“ — ამის შესახებ ინფექციონისტი მაია ბუნაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს.

მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ: „ომიკრონის შემთხვევების ზრდასთან ერთად ჰოსპიტალური სექტორი მაქსიმალურად მზად უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა მსუბუქად მიმდინარეობს. მაგრამ ამჟამად უფრო დიდი პრობლემა ბინაზე მართვადი ჩართული ექიმების დეფიციტი. მსუბუქი დაავადების მქონე პაციენტები და უსიმპტომოებიც კი ღელავენ და დიდი უკმაყოფილება იმაზე, რომ ექიმი არ დაუკავშირდა, ან ერთხელ დაუკავშირდა და შემდეგ აღარ. ოჯახის ექიმები უკიდურესად გადატვირთულნი არიან და მათთვის საყვედურის თქმა ნამდვილად არასწორია. თუმცა, პაციენტების უკმაყოფილებაც გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ინფიცირებულთა დიდ ნაწილს არავითარი დახმარება არ ქონდება, ყველა პაციენტს აუცილებლად ესაჭიროება ექიმთან კავშირი. ამიტომ ამ რგოლში (ანუ დისტანციური მეთვალყურეობის) რაც შეიძლება მეტი ექიმის ჩართვა სხვა ძალიან მნიშვნელოვანია. (ალბათ სხვა პროფილის ექიმების სწრაფად ტრენინგი და კოვიდზე კონსულტირებაში ჩართვაც კარგი იქნებოდა). მანამდე კი ბინაზე მეოფმა პაციენტებმა უნდა შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ

ჩავარდნენ სასონარკვეთილებაში იმის გამო, რომ ექიმი არ ვერ უკავშირება და ახსოვდეთ რამდენიმე ძალიან მარტივი წესი (რაც ძალიან ხშირად გაჟღერებულია, ახალი არაფერია, მაგრამ კიდევ ერთხელ გამეორება, ალბათ, არ იქნება ზედმეტი ამჟამინდელი ეპიდემიის გათვალისწინებით):

• კოვიდის დიაგნოზი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად რაიმე წამალი უნდა მიიღოთ. უმრავლესობას არავითარი წამალი არ ჭირდება.

• ომიკრონისთვის ზოგჯერ დამახასიათებელია ძლიერი ყელის ტკივილი, რაც ადამიანებს ძალიან აწინებთ. ტკივილი, მართლაც, ძალიან შემაწუხებელია, მაგრამ როგორც წესი, არავითარ გართულებებს არ იწვევს და რამდენიმე დღე თუ მოითმენთ, აუცილებლად გაივლის. შეიძლება დაეცხმართ გამაყურებლებით და სავლებით.

• ისევ აქტუალურია სატურაციის ზომვა. კიდევ ერთხელ შეხსენებისთვის, თითო თბილი უნდა იყოს გაზომვისას. ნორმალური მაჩვენებელია ჟანგბადის შემცველობა 94-ზე მეტი.

• სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია გარკვეული კვლევები, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ყველა ინფიცირებულმა აუცილებლად უნდა ჩაიტაროს. ამას ექიმი წვევს და თუ აუცილებლად არ მიაჩნია, ამის გამო ნუ ვეჩხუბებით ექიმებს. თქვენივე სასიკეთოდ გირჩევენ, რომ არ გჭრდებით ტომოგრაფია და ხშირად ლაბორატორიული



რიული კვლევებიც, რომელთა გასაკეთებლად ზოგჯერ რიგებში მოგინვთ დგომა, ხშირად სრულიად არასაჭიროდ.

• კოვიდს არავითარი გადასხმები არ ჭირდება. თუ სითხის მიღება შეგვიძლია, გადასხმის არავითარი საჭიროება არ არსებობს. გადასხმა არ არის მკურნალობა, უბრალოდ სითხის შევსებაა.

• საყურადღებო სიმპტომები, რომლის დროსაც სამედიცინო დახმარებას უნდა მოუხმოდ, არის გულმკერდის არეში ტკივილი და ზენოლა, გამოფხიზლების გაძნელება, მინიშნელოვნად გამოხატული ქოშინი.

სიცხე, თუნდაც მაღალი, ჩვეულებრივი სიმპტომია და არ ნიშნავს, რომ დაავადება მძიმედ მიმდინარეობს. თუ დაავადების მიმდინარეობისას ტემპერატურა დაუბრუნდა ნორმალურ ციფრებს სიცხის დამწვევის გარეშე და შემდეგ დღეებში ისევ მკვეთრად მოიმატა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საყურადღებო იყოს.

• იზოლაციის ვადა შემცირდა 8 დღემდე უსიმპტომო და მსუბუქი შემთხვევებისთვის.

• ჯანმრთელობას და გამძლეობას გისურვებთ ყველას, — წერს ბუნაშვილი.

შუშ პირთა ჩაბვრა - კანონი კანონისთვის?!

„ყველგან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე დისკრიმინაციაა, აბა რა არის?! ბაკურნიანში, ჩემით, სრულიად უცოდინარი დავეჭვი სნოუბორდით, მოკლე მანძილზე. მომიხდა სათხილამურო ტრასაზე დაშვება და სნოუბორდის ინსტრუქტორის აყვანა. იმიტომ მითხრეს უარი, რომ შუშ პირი ვიყავი. მანამდე, მიხდა აღვნიშნო, რომ პრობლემა არ იყო. არადა, თანაბრად სჭირდება დახმარება და სწავლა შუშ პირსაც და არა შუშსაც. ესაა ხომ ჩვენი თანასწორი გარემო? არა, ესაა გარემო სადაც ყველა თანაბარი არაა და ყველას თანაბრად არ მიგვიწვდება ხელი გარკვეული სახის სერვისებზე, მათ შორის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კი გართობაზე!“

გიორგი ხიზანიშვილი გახეთ „შირაქთან“ დისკრიმინაციის იმ მაგალითებზე საუბრობს, რომელიც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება. გიორგის შემთხვევა ერთ-ერთი მაგალითია დისკრიმინაციის იმ უამრავი შემთხვევიდან, რომელიც ყოველდღიურად ჩვენს ქვეყანაში ხდება. სულ ცოტა ხნის წინ, აუტისტური სპექტრის მქონე 18 წლის ლევან გაფრინდაშვილი, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამოიძახეს და შემდეგ გამოუცხადებლობის გამო სასამართლოში უჩივლეს. ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მთავარი არხის ჟურნალისტმა და ლევანის დედამ, ნათია გოგვაძემ FACEBOOK-ზე პროცესის შესახებ პოსტი დაწერა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მიხედვით შუშ პირები სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებულნი არიან. შუშ პირების მიმართ დისკრიმინაციაზე მეტყველებს ასევე 24 იანვარს, თბილისში, ისინი მეტროში მომხდარი ინციდენტიც, სადაც, როგორც ვიდეოკადრებიდან ირკვევა, პოლიციელმა შუშ პირზე (სმენის არმქონე) ფიზიკურად იძალადა. მედიასაშუალებებით გავრცელებულ ვიდეორგანზე აღბეჭდილი ძალადობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი დააკავა. ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი გამეზარდაშვილმა 25 იანვარს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. კერძოდ, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტიენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი ნ.ბ., ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებულია ამავე სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრულ-ინსპექტორი კ.ბ.

სად იკავიება სახელმწიფო იდეაოვა?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვების მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქმნის, ან უნდა ქმნიდეს, განსაკუთრებულ პირობებს შეზღუ-

დული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების სათანადო რეალიზებას. ისინი, სხვების მსგავსად, ვერ სარგებლობენ ყველა იმ უფლებითა და შესაძლებლობით, რომლებიც თითოეულ ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი დღემდე აწყდებიან სისტემურ დაბრკოლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. ამასთან, პრაქტიკა აჩვენებს, რომ შუშ პირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე, შენობა-ნაგებობებზე, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებზე, საგანმანათლებლო და სახელმწიფო დანესებულებებზე. აღნიშნული კი მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ ხდება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (შემდგომში - UNCRPD) მიღების შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვამ მსოფლიოში ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია 2013 წლის დეკემბერში განახორციელა, ძალაში კი, 2014 წლის მარტში შევიდა. შედეგად, მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმების ასახვა. კონვენციის რატიფიცირებამდე საქართველოში შუშ პირთა უფლებებს იცავდა 1995 წლის კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ (რომელიც დღემდე ძალაშია). თუმცა, აღნიშნული კანონის მთავარ „ნაკლად“ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული უფლებების პრაქტიკაში განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტი - აღსრულების მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ UNCRPD-ის რატიფიცირებიდან 7 წელი გავიდა, საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით არსებითად არაფერი შეცვლილა, ვინაიდან სახელმწიფოს ამ მიმართულებით არცერთი რეალური რეფორმა არ გაუტარებია. დღემდე არ არის შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელი, არ შექმნილა გაეროს კონვენციის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მექანიზმი, არ არსებობს



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი სტატისტიკა და სხვა.

შუშ პირთა სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის მისაწვდომობის უფლების რეალიზება უმნიშვნელოვანეს ნიშანდობას წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არის შესწავლილი მისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული საჭიროებები. შუშ პირთათვის გამოწვევად რჩება სოციალური დანიშნულების ობიექტებით, მუნიციპალური ტრანსპორტითა თუ საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობა. ამის გამო, ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობების შეზღუდვა მომდინარეობს არა საკუთრივ შუშ პირთა რესურსებიდან, არამედ გარემო პირობებიდან, რომლებიც მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. 1995 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე თავის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები, სანარმოები, დანესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სანარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისთვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისთვის. აღნიშნული კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს და მისი პრაქტიკაში იმპლემენტაცია არ ხდება აღსრულების მექანიზმის არარსებობის გამო.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში გატარებული ღონისძიებებისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, ის ბოლომდე ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის არარსებობა. აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირებიდან 7 წლის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, განსაზღვრული არ არის კონვენციის იმპლემენტაციასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყებები. ჯანმრთელობის უფლების რეალიზების კუთხით სახელმწიფო პროგრამებში არ არის განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამასთან, არ არსებობს ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას:

-დროულად შეიქმნას და ამოქმედდეს ეფექტიანი მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელებისა და კოორდინაციისთვის. კერძოდ, განისაზღვროს კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება;

-მთავრობამ შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რომლითაც გაინერება კონკრეტული ღონისძიებები, მისი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი ორგანო როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. განისაზღვროს ფინანსური კომპონენტები და გაზომვადი ინდიკატორები;

-განისაზღვროს მომდევნო წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისთვის შესაბამისი საბიუჯეტო რესურსები და აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები;

-სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავეს და ამოქმედდეს ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეაბილიტაციის სპეციალიზებული ქვეპროგრამა. მოხდეს სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისა და გაძლიერების ხელშეწყობა გეოგრაფიული განაწილების პრინციპის დაცვით.

რა დასკვნის გამოვანა შეიძლება?

დისკრიმინაცია შუშ პირებს ძალადობის მრავალი სხვადასხვა ფორმის ნიშანე უფრო მოწყვლადს ხდის და ართულებს იმ ინსტიტუციებთან წვდომას, რომლებიც სწორედ ამისგან თავდასაცავდაა განკუთვნილი. საჭიროა, რომ საზოგადოებაში გაიზარდოს შუშ პირებზე დისკრიმინაციისა და მისი შედეგების ცნობადობა, შუშ პირებზე ძალადობის შემთხვევებში კი მოქალაქეებს შესაფერისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს.

საზოგადოებრივად მაშინ შევძლებით, როდესაც ჩვენს გვირგვინს სხვა-სხვანაირი მივცემთ ღირსეულად ცხოვრების უფლებასა და საშუალებას. ჩვენ ვიძინებთ შიშგარე საზოგადოებაში მაშინ, როდესაც ძველანაირი კანონი გვირგვინს ფურცელზე დაწერილი წინადადებაში არ იძნება და მისი ცვლილება პოზიტიურ ცვლილებას გამოიწვევს. დღევანდელ სოციალურ შუშ პირებზე ძალადობა და მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია, სამწუხაროა და საჭიროა აღსრულდეს ცვლილებების აუცილებლობაზე მეტყველებს სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტები და მიგზიშთიანს ჩვენს, საზოგადოებასაც, რომ გამოვხიზილებთ საჭირო. გამოვხიზილებთ, რადგან ხვალ შეიძლება კანონმა ვერ დაგვიცვას ჩვენ, არამოწყვლადი ვეგუფები და შედეგად დავინახოთ, რომ მხარდაჭერა და პროტესტი აზრს მოკლებული კი არა, საციცოცხლოდ აუცილებელიცაა.

მომამზადა

ქუჩუნა ყანაშვილი



სამუსის ველზე ქურციკების ახალი ფობოები გაკრულდა



ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მობინადრე ქურციკების აღდგენის პროექტი წარმატებით გრძელდება. ივნისისთვის საქართველოში ქურციკების უკვე მერვე თაობა დაიბადება. WWF კავკასიის პროგრამის ოფისი აგრძელებს მუშაობას აზერბაიჯანიდან ახალი ინდივიდების ტრანსლოკაციაზე და ასევე, ახორციელებს სამუსის ველზე გავრცელებული ქურციკების პოპულაციის მონიტორინგს.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში გადაშენებული ქურციკების აღდგენის პროგრამას აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს გერმანიის მთავრობა (BMZ/KfW) და WWF-გერმანია.



ფობოები: ვაჟიკო ყოჩიაშვილი

მზესუმზირის ზეთის მწარმოებელმა კომპანიამ „ქარვამ“

წარმოება აღადგინა

დედოფლისწყაროში ზეთის მწარმოებელმა კომპანიამ „ქარვამ“, რომელმაც მუშაობა 2020 წლის შემოდგომაზე შეაჩერა, მუშაობა განაახლა. როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი თაბაგარი განმარტავს, პანდემიამ კომპანიას წარმოების გაჩერების გადაწყვეტილება მიადგინა. თაბაგარი ამბობს, რომ დაახლოებით ერთწლიანი პაუზის შემდეგ კომპანიამ ქარხნის ასამუშავებლად საბრუნავი საშუალებებისთვის დამატებით 300,000 ლარის ინვესტიცია განახორციელა. ამასთან, თაბაგარის განცხადებით, მათი პროდუქტი პრემიუმ ხარისხის ზეთს მიეკუთვნება. დაბრუნების შემდეგ ზეთის ფასი, დახურვამდე არსებულ ღირებულებასთან შედარებით, 60%-ით გაზრდილია. დღეისათვის ზეთი „ქარვამს“ მიწოდებას კომპანია „დი-პლომატ ჯორჯია“ ახორციელებს და შედეგად, კახური და სიმინდის ზეთის შექმნა მომხმარებელს აგროჰაბში, კარფურსა და გუდვილში დაახლოებით 9-10 ლარის ფარგლებში შეუძლია.

ზეთის მწარმოებელი კომპანია „ქარვამ“, რომელმაც ქარხანა დედოფლისწყაროს რაიონში ააშენა და რომელიც 100%-ით ქართულ ნედლეულზე მუშაობდა, ერთი წლის მანძილზე გაჩერებული იყო.

ზეთის მწარმოებელი ქარხანა „ქარვამ“ 2005 წლიდან 2010 წლამდე უწყვეტად მუშაობდა და ადგილობრივ ბაზარს სამამულო პროდუქციას აწვდიდა. იმ პერიოდში წარმადობა დღე-ღამეში 10 ათასი ლიტრი იყო. მაშინდელი ხელმძღვანელის თემურ ბუკიას განცხადებით, მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებდნენ და მზესუმზირას დედოფლისწყაროში ყიდულობდნენ. რაფინირებული ზეთი მთელ ამიერკავკასიაში პირველად ჩვენ ჩამოვასხით“-აცხადებდა მაშინ ბუკია. თუმცა, პროდუქციის დეფიციტის გამო ქარხანა თავისი საქმიანობის მანძილზე არაერთხელ გაჩერდა.

ჩვენი მუნიციპალიტეტის გირი მელაქოსონაძე!

ოჯახის სამ წევრს მე, ჩემს მეუღლეს და შვილიშვილს, დაგვიდასტურდა კოვიდინფექცია. საჭირო გახდა ჩვენი საავადმყოფოში გადაყვანა. სამწუხაროდ, მკურნალობას დასჭირდა ხანგრძლივი პერიოდი - 20 დღე. მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო დედოფლისწყაროს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის თითოეული თანამშრომლის - ექიმების, ექთნებისა თუ სანიტრების მიმართ. მადლობა ამ ადამიანებს იმ გმირობისთვის, რასაც მათი ყოველდღიური საქმიანობა ჰქვია. ჩემი ოჯახის თუნდაც მცირედი დისკომფორტი უყურადღებოდ არ რჩებოდა და მუდამ მზად იყვნენ დასახმარებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მედპერსონალი თითოეულ პაციენტს თავს განსაკუთრებულად და პრივილეგიურად აღვჩინებდა. მათი მხრიდან გამოჩენილი უსაზღვრო ყურადღება და მზრუნველობა ნამდვილად დასაფასებელია.



გულნაზი პილოსანი ოჯახით.

ულოცავ!

ნანა პოპიაშვილს!

ჩემო მეგობარო, გილოცავთ შვილიშვილის გაბედნიერებას. ახლად შეუღლებულეხს-ანა ხოსროშვილს და ლუკა მოღუ ვუსურვებთ მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას, დიდხანს სიცოცხლეს, უღევ სიყვარულს და სიხარულს, გამრავლდნენ და გაიხარონ. ანას მშობლებს-მამა ათანელიშვილს და გივი ხოსროშვილს კი შვილიშვილთა სიმრავლეს. უფალმა დალოცოს მათი კერა-ფუძე და შემწეობა არ მოუშალოთ.

სიყვარულით და პატივისცემით, ნაირა გორაშვილი, ზურა და მამა პოპიაშვილები

მამაააა გონაშვილს! თამარ გოსაქანს! ვახტანგ ქახიას!

თანამედროვეობის გამორჩეულ შემოქმედს პოეტ მამაააა გონაშვილს, საქართველოს სახალხო მხატვარს, ფუნჯის დიდოსტატს თემურ გოცაძეს, დიოქორს ვახტანგ ქახიძეს გულწრფელად გილოცავთ ჩვენი ერის უმაღლეს ჯილდოს რუსთაველის პრემიის ლაურეატობას, გისურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

ულრმესი პატივისცემით,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მნიშვნელოვანი და მწვერვალის ასოციაციის სახელით ნიკოლოზ ჯანაშვილი, ნუგზარ პაპიაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აბაშიძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ილია მარტყოფიშვილი, გიორგი ნატროშვილი.

მარიკა (ქეთევან) გონაშვილს

ჩვენთვის საყვარელ, ძვირფას ქალბატონს, გილოცავთ 70 წლის იუბილეს 14 იანვარს და ძველით ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენ ხარ სიკეთისა და სიყვარულის განსახიერება, შენმა სიკეთემ, სათნოებამ, გულკეთილობამ გაგიხანგრძლივოს სიცოცხლის წლები. ჩვენ დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რაც შენ ჩვენთვის სულიერად თუ ფიზიკურად გაგიკეთებია. ხარ დიდი იმედი და გვერდში მდგომი. ვინც შენ გიცნობს, ყველას ძალიან უყვარხარ და დიდ პატივს გცემს, ეს შენ წლების მანძილზე დაიმსახურე ადამიანებთან ურთიერთობაში, რაც ბევრს არ შეუძლია, ამ თვისებებით უფალმა დაგაჯილდოვა.

ჩვენ შენი დიდი მეგობრობით ნააფრსადი, ამ დღეს სრულიად სამეგობროს გულისთქმას ვატანთ სიცოცხლე შენმა იკაშკაშოს მარად მზესავით, ძალას გატეხვებს ჩვენი ლოცვა, სითბო და ნატვრა“. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით, მარიკა გონაშვილი, ცისია ააპაშვილი, ქეთინო ბარსანიშვილი და სხვები.

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ც ყ ა რ ო	
ორშაბათი 24.01 დღე	სამშაბათი 25.01 ღამე	ოთხშაბათი 26.01 დღე	ხუთშაბათი 27.01 ღამე
11°	-4°	8°	-4°
11°	-4°	1°	-4°
6°	-4°	4°	-7°
6°	-5°	5°	-6°
6°	-5°	6°	-5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირომანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.